# საქართველო
# ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1005 07
18/06/2020

1005-07-4-202006180951

**არქიტექტურულ - სამშენებლო პროექტების შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ**

**მეორე და მესამე სტადია**

,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი " საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 25-ე მუხლისა და ამავე დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. შეთანხმებულ იქნას შპს „მინიმალ სტუდიოს" მიერ შესრულებული ქ. ახალციხეში, 9 აპრილის ქ. N1გ-ში, ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში (ID: 204900250) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ს/კ 62.09.60.104) სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობის პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა.
2. მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 31 დეკემბრამდე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ახალციხე, მეზაღიშვილის ქ. №62)

ზაზა მელიქიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია CITY HALL OF AKHALTSIKHE MUNICIPALITY GEORGIA 224101317

მუნიციპალიტეტის მერი
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია

მშენებლობის ნებართვა №29

ახალციხე „18“ ივნისი, 2020 წელი

1. დამკვეთი: ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში. ID: 204900250
2. შენობა-ნაგებობის მისამართი: ქ. ახალციხე, 9 აპრილის ქ. N1გ
3. მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მონაცემები, საკადასტრო კოდი: № 62.09.60.104;
4. მშენებარე ობიექტი: სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრი
5. შენობა ნაგებობის კლასი: III.
6. მშენებლობის განხორციელების ეტაპები:
   - 6.1 არსებული კონსტრუქციის დემონტაჟის და ტერიტორიის გასუფთავების სამუშაოები;
   - 6.2 საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;
   - 6.3 -3.00 ნიშნულზე იატაკის მოწყობა;
   - 6.4 -3.00 კედლებისა და კოლონების მოწყობა;
   - 6.5 0.00 ნიშნულზე იატაკის მოწყობა;
   - 6.6 0.00 კედლებისა და კოლონების მოწყობა;
   - 6.7 +3.50 ნიშნულზე იატაკის მოწყობა;
   - 6.8 კარის და ფანჯრის ღიობების სამუშაოები;
   - 6.9 შენობის სახურავის სამონტაჟო სამშენებლო სამუშაოები;
   - 6.10 პანდუსების მოწყობა;
   - 6.11 ტერიტორიის კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოები.
7. შენობა-ნაგებობის სანებართვო პირობები:
   - 7.1 აწარმოოს მშენებლობა მშენებლობის ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;
   - 7.2 აწარმოოს მშენებლობა საპროექტო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;
   - 7.3 აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამეტების მოთხოვნათა დაცვით;
   - 7.4 უზრუნველყოს ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-კომუნალური ქსელების, ექსტერიერისა და მიწის ნაკვეთის ტერიტორიის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება;
   - 7.5 ამ ნებართვის მე–7 პუნქტით გათვალისწინებული მშენებლობის თითოეული ეტაპის დასრულებისას ნებართვის მფლობელი ვალდებულია, შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმი სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე. მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმს ხელს აწერენ დამკვეთი და მენარდე ან/და მათი საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი. ოქმის შედგენის სისწორისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ოქმის შემდგენელს.
   - 7.6 მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ შედგენილი ოქმი სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით უნდა წარედგინოს ნებართვის გამცემს.

8. შენობა ნაგებობის ვარგისად აღიარება (ექსპლუატაციაში მიღება)

8.1 მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 12 თვის ვადაში შენობა ნაგებობა წარუდგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისთვის

9. ნებართვა ძალაშია ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრამდე.

ზაზა მელიქიძე

224101317

მუნიციპალიტეტის მერი
ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია